



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის  
მდივნის

**განკარგულება №02-288/2017**

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო  
ორგანიზაციის „საერთაშორისო ასოციაცია ქალთა მოძრაობა თანასწორობისათვის“  
დამკვირვებლის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წელი 17 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვადგენ:

**მუხლი 1.** უარი ეთქვას დამკვირვებლად რეგისტრაციაზე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „საერთაშორისო ასოციაცია ქალთა მოძრაობა თანასწორობისათვის“ წარმომადგენელს - ბესიკ ფოცხვერაშვილს, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან იგი არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრი.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი